ცვლილება ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში

ბანკის ვებ-გვერდზე www.pashabank.ge განთავსებულ ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება") შედის შემდეგი ცვლილება:

1. შეიცვალოს და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების 2.14 პუნქტი:

„2.14. 2020 წლის 1 ივლისიდან, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge."

წინამდებარე ცვლილებები ძალაში შედის 01.07.2020-დან.